962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

**№ 32 (192) 20 ნოემბერი 1962 წელი**


## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი


467. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, რომ „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებასთან დაკავშირებით შეიცვალოს და ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები.

468. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ა. თ. ზასიადკოს გათავისუფლების შესახებ.

469. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

470. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. პ. ფ. ლომაკოს დანიშვნის შესახებ.


#### განყოფილება მეორე


471. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ლისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

472. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. მუსამუხამედოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

473. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ა. კორნეიჩუკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

474. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის" ორდენით" ამხ. ი. ა. პოლიკარპოვის დაჯილდოების შესახებ.

475. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის" ორდენით ამხ. ს. ს. ნემჩინას დაჯილდოების შესახებ.




რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

476. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსის დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

477. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით აკადემიკოს ს. ა. ლებედევის დაჯილდოების შესახებ.

478. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელი ვარსკვლავის ორდენით საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეების ამხ. ამხ. ს. დ. ილკივის და ა. ი. სკოროხოდოვის დაჯილდოების შესახებ.

479. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „შჩერბაკოვსკის“ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ვ. დ. კოტეშკოვის და ტრაქტორისტის ნ. ს. გრიბოვის დაჯილდოების შესახებ.

480. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საპატიო ნიშნის“ ორდენით ამხ. ნ. ტ. ფედორენკოს დაჯილდოების შესახებ.

481. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით მწერალ ა. ს. მალიშკოს დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტ. ნ. კაულმა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

482. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

483. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. მ. თ. ჩიხლაძის დანიშვნის შესახებ.

484. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალციხის რაიონის დაბა ვალეს რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.

## განყოფილება მეორე

485. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ მილიციის მუშაკების დაჯილდოების შესახებ.

486. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მილიციის მუშაკების დაჯილდოების შესახებ.

487. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ამხ. ა. ა. ბლრციანის დაჯილდოების შესახებ.

488. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. დარახველიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

489. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის მსახიობთა დაჯილდოების შესახებ.

490. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის თანამშრომლების დაჯილდოების შესახებ.

491. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**467** **იმის თაობაზე, რომ „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებასთან დაკავშირებით შეიცვალოს და ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები**

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I. შეტანილ იქნას ცვლილებები სსრ კავშირის შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 2 იანვრის დადგენილებაში „შრომის კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 4, მუხლი 31):

ა) მუხლი 2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით —

„2. უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის დამნაშავე პირთ დააჯარიმებენ ადმინისტრაციული წესით:

10 მანეთამდე — პროფკავშირთა საბჭოების ტექნიკური ინსპექტორები;

50 მანეთამდე — პროფკავშირთა საბჭოების მთავარი ტექნიკური ინსპექტორები დადგენილი წესით დამტკიცებული სიების მიხედვით;“

ბ) 1, 3-6 მუხლები ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 30 ივლისის ბრძანებულებაში „სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 28):

ა) 1 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ჩადენილი პირველად“, ხოლო სიტყვები: „აჯარიმებენ ადმინისტრაციული წესით მილიციის განყოფილებათა უფროსები ან სასოფლო (სადაბო) საბჭოების თავმჯდომარეები 50 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „აჯარიმებენ ადმინისტრაციული წესით რაიონების (ქალაქების) სამხედრო კომისრები 5 მანეთამდე;“

ბ) 2 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ჩადენილი პირველად“, ხოლო სიტყვები: „100 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „10 მანეთამდე“;

გ) 3 მუხლში სიტყვები: „აჯარიმებენ ადმინისტრაციული წესით მილიციის განყოფილებათა უფროსები 100 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „აჯარიმებენ ადმინისტრაციული წესით რაიონების (ქალაქების) სამხედრო კომისრები 10 მანეთამდე“;

დ) 5 მუხლში სიტყვები : „100 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „10 მანეთამდე“;

ე) 4 და 6 მუხლები ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულებაში „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წელი, № 13) იმ ცვლილებითურთ, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 30 მაისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წელი, № 23, მუხლი 233):

ა) 3 მუხლის „ზ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით —

„ზ) მოსარჩელენი და მოპასუხენი — გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელების, რომლებიც შედის სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების საქმეებზე;“

ბ) მუხლი 10 ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულებაში „მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 17) იმ ცვლილებებითურთ, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წელი, № 4, მუხლი 35):

ა) 37 მუხლის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ან ჯარიმების“;

ამავე მუხლის „ა“ პუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ჯარიმაზე საურავი არ დაირიცხება“;

ბ) 38 მუხლის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „და დაჯარიმებაზე“, „ან დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების“;

გ) 32-36 მუხლები ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

II. თანახმად დანართისა ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 3 ნოემბერი.

№ 591-VI.

დანართი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის ა ნოემბრის ბრძანებულებისა „იმის თაობაზე, რომ „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების სფეროში შეზღუდვის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებასთან დაკავშირებით შეიცვალოს და ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები"

# ნუსხა

## სსრ კავშირის იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 3 აპრილის დადგენილება „რევოლუციური წესრიგის დაცვის საგანგებო ზომების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 25, მუხლი 166).

2. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1925 წლის 3 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული დებულება რევოლუციური წესრიგის დაცვის საგანგებო ზომების შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 25, მუხლი 167), ცვლილებებითურთ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 8, მუხლი 74).

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 11 იანვრის დადგენილება „საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვაზე ზედამხედველობის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 6, მუხლი 54), ცვლილებითურთ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 61, მუხლი 547).

4. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 30 მაისის დადგენილება „გზათა სახალხო კომისარიატის მიერ სავალდებულო დადგენილებების გამოცემის წესისა და მათ დამრღვევთა ადმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 36, მუხლი 325).

5. განსაზღვრულობელი სექტორის საწარმოთა ბრუნვის გადასახადის შესახებ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულების 22 მუხლი (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 46, მუხლი 477), ცვლილებითურთ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 25, მუხლი 199, პ. „ბ").

6. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 2 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება კერძო საწარმოებისა და სარეწების სარეწაო გადასახადის შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 46, მუხლი 481), ცვლილებებითურთ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 6, მუხლი 73, პ. 5, № 40, მუხლი 279).

7. 55 პუნქტი სსრ კავშირის ცაკის 1931 წლის 10 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მი-

ღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებულ უნდა იქნან სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 მოწვევის მე-3 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 5, მუხლი 65).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 3 მაისის დადგენილება „წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის იმ უფლების შესახებ, რომ გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი და მათი დამრღვევნი ადმინისტრაციული წესით დასაჯოს“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 26, მუხლი 207).

9. 6 მუხლი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 აგვისტოს დადგენილებისა „სსრ კავშირის საზღვრების სანიტარული დაცვის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 55, მუხლი 355).

10. სახელმწიფო საწარმოთა მოგების სახელმწიფო შემოსავალში გადარიცხვის შესახებ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულების 11 მუხლი (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 57, მუხლი 367).

11. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 7 დეკემბრის დადგენილება „ცხენების დაკვლის აკრძალვისა და ცხენების უკანონო დაკვლისა და მტაცებლური ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 71, მუხლი 474).

12. 39 პუნქტი სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 17 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებულ უნდა იქნან სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-7 მოწვევის მე-2 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 4, მუხლი 36).

13. 5 მუხლი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივლისის დადგენილებისა „დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის წესისა და ვადის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 44, მუხლი 369).

14. 79 პუნქტი სსრ კავშირის ცაკის 1937 წლის 13 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნან სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-7 მოწვევის მე-3 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 7, მუხლი 24).

15. 14 მუხლი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულებისა „ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1942 წელი, № 13), ცვლილებითურთ, რომელიც შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წელი, № 4, მუხლი 35).

16. 6 მუხლი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებისა „სანახაობის გადასახადის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1942 წელი, № 38).

17. 11 მუხლი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულებისა „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 19, მუხლი 495).

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 468 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ა. თ. ზასიადკოს გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე თევდორეს ძე ზასიადკო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი პირადი თხოვნით ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 9 ნოემბერი.

№ 606-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 469 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1962 წლის 10 დეკემბერს ქალ. მოსკოვში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 ნოემბერი.

№ 607-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 470 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. პ. ფ. ლომაკოს დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. პეტრე ფადეის ძე ლომაკო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 ნოემბერი.

№ 608-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**471** ამხ. ლ. ლისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სიმინდის მწვანე მასისა და მარცვლის მაღალი მოსავლის მიღებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის და მესიმინდეთა კადრების მომზადებისათვის უზბეკეთის სსრ ტაშკენტის ოლქის ვერხნე-ჩირჩიკის რაიონის კოლმეურნეობა „პოლიტოტდელის" ბრიგადირს ამხ. ლუბა ლის მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ური".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 5 ნოემბერი.
№ 593-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**472** ამხ. რ. მუსამუხამედოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მევენახეობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, ვაზის დამუშავების პროგრესული წესების შემუშავებისათვის და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მევენახეთა კადრების მომზადებისათვის უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროს კონსულტანტს მევენახეობის ხაზით ამხ. რიზამატ მუსამუხამედოვს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ური".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 5 ნოემბერი.
№ 594-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**473** ამხ. პ. ა. კორნეიჩუკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მრავალი წლის მანძილზე სამხრეთ უკრაინის გვალვიანი ზონის პირობებში სიმინდის მაღალი და მედეგი მოსავლის მიღების საქმეში თვალსაჩინო წარმატე-

ბებისათვის ოდესის ოლქის არციზის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს ამხ. პეტრე ანტონის ძე კორნეიჩუკს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 5 ნოემბერი.
№ 595-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 474 „საპატიო ნიშნის“ ორდენით ამხ. ი. ა. პოლიკარპოვის დაჯილდოების შესახებ

აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ამხ. ივანე ალექსის ძე პოლიკარპოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 5 ნოემბერი.
№ 596-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 475 „საპატიო ნიშნის“ ორდენით ამხ. ს. ს. ნემჩინას დაჯილდოების შესახებ.

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით კონგოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. სერგი სერგის ძე ნემჩინა დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 5 ნოემბერი.
№ 601-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 476 შრომის წითელი დროშის ორდენით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსის დაჯილდოების შესახებ

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსის დაბადების ოთხმოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით და მშვიდობისათვის ბრძოლაში მისი

დიდი პატრიოტული მოღვაწეობის აღსანიშნავად მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი 1962 წლის 8 ნოემბერი.
№ 601ა-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 477 ლენინის ორდენით აკადემიკოს ს. ა. ლებედევის დაჯილდოების შესახებ

გამოთვლითი ტექნიკის და ელექტროტექნიკის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი სერგი ალექსის ძე ლებედევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 9 ნოემბერი.
№ 602-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 478 წითელი ვარსკვლავის ორდენით საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეების ამხ. ამხ. ს. დ. ილკივის და ა. ი. სკოროხოდოვის დაჯილდოების შესახებ

ოფიცრის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდნენ:

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. რიგითი სტეფანე დიმიტრის ძე ილკივი,
2. კაპიტანი ალექსანდრე ივანეს ძე სკოროხოდოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 9 ნოემბერი.
№ 604-VI.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 479 „საპატიო ნიშნის“ ორდენით ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „შჩერბაკოვსკის“ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ვ. დ. კოტეშკოვის და ტრაქტორისტის ნ. ს. გრიბოვის დაჯილდოების შესახებ

ხანძრისაგან მოუმკელი პურის გადარჩენის დროს გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „შჩერბაკოვსკის“ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ვლადიმერ დიმიტრის ძე კოტეშკოვი და ტრაქტორისტი ნიკოლოზ სტეფანეს ძე გრიბოვი დაჯილდოვდნენ „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 9 ნოემბერი.
№ 605-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 480 „საპატიო ნიშნის“ ორდენით ამხ. ნ. ტ. ფედორენკოს დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ამხ. ნიკოლოზ ტროფიმეს ძე ფედორენკო დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 12 ნოემბერი.
№ 609-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 481 ლენინის ორდენით მწერალ ა. ს. მალიშკოს დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი ანდრია სამოილის ძე მალიშკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი 1962 წლის 14 ნოემბერი.
№ 615-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტ. ნ. კაულმა

ა. წ. 5 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტრილოკი ნატხ კაული, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მრჩეველი რ. ჯაიპალი, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ატაშე ო. პ. მალხოტრა, სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანაშემწე პ. ბ. მენონი, პირველი მდივანი ნ. პ. ჯეინი, ვაჭრობის პირველი მდივანი დ. ხეჯმადი, პირველი მდივანი ბ. ს. დასი, მეორე მდივანი შ. ვ. პურუშოტამი, სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანაშემწე პ. ნ. მეხრა, მესამე მდივანი ბ. პ. აგარვალი, ატაშე დ. ნ. მანჯეშვარი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგეები ვ. ი. ლიხაჩოვი და თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები ი. თ. შპედკო და ნ. ი. სმირნოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ტ. ნ. კაულს. საუბარს დაესწრო ი. ა. მალიკი.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

### უკრაინის სსრ

#### სტანისლავის ოლქისა და ზოგიერთი ქალაქების გადარქმევა

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით კიროვოგრადის ოლქის ქალაქ ხრუშჩოვს დაერქვა ქალაქი კრემგესი, ამასთან იგი განეკუთვნა საოლქო დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას.

1962 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულებით ქალაქ სტანისლავს დაერქვა ქალაქი ივანო-ფრანკოვსკი; სტანისლავის ოლქს დაერქვა ივანო-ფრანკოვსკის ოლქი.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 482 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს ბაზაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 10 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 483 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. მ. თ. ჩიხლაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. მიხეილ თეოფანეს ძე ჩიხლაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 10 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 484 ახალციხის რაიონის დაბა ვალეს რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას ახალციხის რაიონის დაბა ვალე რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ვალეს სადაბო საბჭო — ვალეს საქალაქო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 13 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 485 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ მილიციის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მილიციის ორმოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის, მოვალეობის შესრულებისას გულადობისა და თავგანწირულების გამოჩენისათვის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

1. ნიკოლოზ არტემის ძე **აბულაძე** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს სამსახურის განყოფილების უფროსის მოადგილე;

2. იოსებ ნიკოლოზის ძე **ბიბილაშვილი** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს ოპერატიული სამსახურის განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული;

3. კონსტანტინე სერგის ძე **გაბუნია** — აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი;

4. პლატონ გიორგის ძე გოგოლაძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურ ხაშურის მილიციის სახაზო განყოფილების მილიციელი;

5. ვალერიან ვარლამის ძე **თალაკვაძე** — .საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი;

6. ვლადიმერ იოსების ძე **იუნი** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს თბილწყალსადენის დაცვის ლეგიონის მილიციელი;

7. დორა პეტრეს ასული **კატუკია** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული;

8. ზაურბეკ ივანეს ძე **კიკაჩეიშვილი** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს ოპერატიული სამსახურის განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული;

9. გივი ილარიონის ძე **მგალობლიშვილი** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო მილიციის ქუთაისის განყოფილების უფროსი სახელმწიფო ავტოინსპექტორი;

10. აბელ ხარლამპის ძე **ოსეფაიშვილი** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსი;

11. მიხეილ ნიკოლოზის ძე **პარაზია** — ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურ სოხუმის მილიციის სახაზო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული;

12. დავით ბასიატის ძე **სერგეგია** — გაგრის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების მილიციელი;

13. ვლადიმერ ექვთიმეს ძე **ყარყარაშვილი** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს ოპერატიული ლეგიონის მილიციელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ვარლამ ივანეს ძე **შადური** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

15. გრიგოლ პლატონის ძე **შალამბერიძე** — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მილიციის განყოფილების უფროსი;

16. გიორგი რაჟდენის ძე **შელია** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსი;

17. გრიგოლ მიხეილის ძე **შულგინი** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მილიციის სამმართველოს ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონის ათმეთაური.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 9 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 486 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მილიციის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მილიციის ორმოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, მილიციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ბორის ივანეს ძე **ბონდარენკო** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლის განყოფილების უფროსი;

2. პეტრე კონსტანტინეს ძე **გონჩაროვი** — დმანისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების მილიციელი;

3. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **თეთრუაშვილი** — თიანეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი;

4. გიორგი თევდორეს ძე **ლეზანიძე** — ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსი;

5. ვლადიმერ იოსების ძე **მინაშვილი** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს ოპერატიული ლეგიონის ათმეთაური;

6. შალვა ნიკოლოზის ძე **რობაქიძე** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

7. სოლომონ დავითის ძე **სანადირაძე** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სარდიონ იონას ძე **სილაგავა** — ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგ. თბილისის მილიციის სახაზო განყოფილების ათმეთაური;

9. ვარლამ მიხეილის ძე **სიხარულიძე** — ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების ათმეთაური;

10. ალექსანდრე კარაპეტის ძე **ტარხანიანი** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსი;

11. სტეფანე პეტრეს ძე **ჩხაპელია** — ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების მილიციელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

თბილისი. 1962 წლის 9 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 487 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ამხ. ა. ა. ბლრციანის დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი აკოფ არამის ძე **ბლრციანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

თბილისი. 1962 წლის 10 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 488 ამხ. გ. ვ. დარახველიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ქ. თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელს — გიორგი ვიქტორის ძე **დარახველიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

თბილისი. 1962 წლის 12 ნოემბერი.

## 489 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის მსახიობთა დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის და სტუდენტობის ჰელსინკის მერვე მსოფლიო ფესტივალში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის მსახიობები:

1. ახლამაზიშვილი ჯუმბერ ნიკოლოზის ძე,
2. აკობია რუსლან ვალერიანის ძე,
3. ბერიძე ბელა კონსტანტინეს ასული,
4. გამგონეიშვილი ზურაბ გიორგის ძე,
5. გოგავა თენგიზ ივანეს ძე,
6. გომარელი გურამ გიორგის ძე,
7. დარახველიძე გალინა გიორგის ასული,
8. დოლიძე ანდრო გიორგის ძე,
9. ვარდოსანიძე გურამ შალვას ძე,
10. ზუბიაშვილი გიორგი ისაკის ძე,
11. თედოშვილი ვალერიან სულიკოს ძე,
12. კობერიძე კობა სერგოს ძე,
13. ლომსაძე ომარ იასონის ძე,
14. ნიკოლაძე ალექსი ნიკოლოზის ძე,
15. სამხარაული ჯემალ პეტრეს ძე,
16. სურმავა ეფრემ ოთარის ძე,
17. ჭანიშვილი ლაუზი რუბენის ძე,
18. ჭოხონელიძე რევაზ შოთას ძე,
19. ხეცაშვილი ვახტანგ შალვას ძე,
20. ხიზანბარელი დიმიტრი თეიმურაზის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 12 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 490 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის თანამშრომლების დაჯილდოების შესახებ

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის დაარსებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და

მუსიკალური კადრების მომზადების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბაშიძე სოფიო სერგის ასული,
2. ბაბურაშვილი სარა იოსების ასული,
3. დიშელი ჟანა აბრამის ასული,
4. მაჩაბელი ელისაბედ დიმიტრის ასული,
5. მიკირტუმოვა ევგენია მიხეილის ასული,
6. პირკულოვა ანა სტეფანეს ასული,
7. როსტომაშვილი ელენე პავლეს ასული,
8. რჩეულიშვილი ელენე ვლადიმერის ასული,
9. სარქისოვა ელზა მოსეს ასული,
10. ფიჩხაძე მირა იაკობის ასული,
11. ყაზაროვა ნატალია სუმბატის ასული,
12. შაგინოვი ალექსანდრე სერგის ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 13 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 491 ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის მასწავლებელთათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის დაარსებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, მუსიკალური კადრების მომზადების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

1. არეშოვას მარიამ ნიკოლოზის ასულს,
2. გაბარაშვილს ბორის კონსტანტინეს ძეს,
3. ეგიაზაროვას ეკატერინე ვასილის ასულს,
4. კანდურალოვას მარგალიტა ვასილის ასულს,
5. კაპანაძეს გიორგი ვარლამის ძეს,
6. კლეინს ლილი ლევის ასულს,
7. ლაფერაშვილს ნინო თეოფილაქტეს ასულს,
8. მონინას ანა სიმონის ასულს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. რომანოვსკაიას გალინა ვასილის ასულს,
10. როჟოკს როზალია მიხეილის ასულს,
11. ფხაკაძეს ბარბალე ივანეს ასულს,
12. ყანჩელს ელეონორა ნიკოლოზის ასულს,
13. ჩერნიავსკაიას ოლღა კონსტანტინეს ასულს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი, 1962 წლის 13 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“

მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5.

## დაიწყო ხელმოწერა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე 1963 წლისათვის

### „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ შევა:

**პირველ განყოფილებაში** — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

**მეორე განყოფილებაში** — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

**მესამე განყოფილებაში** — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

## „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

### გამოდის კვირაში ერთჯერ.

**ხელმოწერის ფასი:**

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.

ხელმოწერა მიიღება ყოველი მომდევნო თვიდან.

### ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატი“, ყველა საფოსტო კანტორა და რკინიგზის გამომცემლობის რწმუნებულები ტრანსპორტზე, „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების რწმუნება აქვთ.